

ჟიულ ვერნის ცნობები თბილისის შესახებ

თარგმანი ფრანგულიდან და შენიშვნები ირინე ნაჭყებიასი

ჟიულ ვერნის სათავგადასავლო რომანი – კლოდიუს ბომბარნაკი. რეპორტიორის უბის წიგნაკი დიდ ტრანსაზიურ ინაუგურაციაზე¹, 1892 წლის შემოდგომაზე ყოველდღიურ ფრანგულ მონარქისტულ გაზეთში, „Le Soleil“-ში, იბეჭდებოდა. აღნიშნული რომანი და ჟიულ ვერნის სამეცნიერო ფანტასტიკური რომანი – კლოდიუს ბომბარნაკი. ციხე-დარბაზი კარპატებში² – 1892 წლის შემოდგომაზე ერთად, ცალკე წიგნად დაიბეჭდა და საფრანგეთის აკადემიის ჯილდო დაიმსახურა.

ფრანგი მწერლის რომანში „კლოდიუს ბომბარნაკი. რეპორტიორის უბის წიგნაკი...“ – აღწერილია გაზეთ „XX საუკუნის“ ბორდოელი რეპორტიორის, კლოდიუს ბომბარნაკის უცნაური და მხიარული თავგადასავალი. ფრანგი რეპორტიორი თბილისში სამი კვირის გატარებას ფიქრობდა, მაგრამ ქალაქში ჩასვლისთანავე, „XX საუკუნის“ რედაქციისგან მიღებული დეპეშა მას თბილისიდან ბაქოში დაუყოვნებლივ ჩასვლას და უზუნ-ადადან³ თურქესტანის⁴ გავლით ტრანსაზიური მატარებლით პეკინში გამგზავრებას მოუწოდებდა. მას თავისი მთაბეჭდილობების ქრონიკების სახით ჩაწერა, გზად შემხვედრი ყურადღების ღირსი პირებისგან ინტერვიუს აღება და მცირე ინციდენტების შესახებაც კი წერილით ან დეპეშით შეტყობინება ევალებოდა.

¹ Jules Verne. *Claudius Bombarnac, carnet d'un reporter à l'inauguration du grand Transasiatique*. Image fournie par le vendeur. 55 Illustrations par L. Benett. 6 Grands gravures en chromotypographie – 2 carnets en couleur. – Les voyages extraordinaire. Couronnées Par l'Académie française. Paris, Edité par Bibliothèque d'Education et de Récréation J. Hetze et Cie, 1892. ამ რომანის სათაური 1890 წლიდან გამოქვეყნებამდე რამდენჯერმე შეიცვალა („მოგზაურობა ტრანსაზიური ექსპრესით ტფილისიდან პეკინში“, „რეპორტიორის ჩანაწერები“, „13 დღე კლოდიუს ბომბარნაკთან ერთად“). „რეპორტიორის უბის წიგნაკი...“

² Jules Verne. *Claudius Bombarnac – Le Chateau des Carpathes*. Quarante illustrations par L. Benett. – Les voyages extraordinaire. Couronnés par L'académie française. Paris, Collection Hetzel, 1892.

³ უზუნ-ადა – ყოფილი ნავსადგური კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, მიხაილოვსკის ყურის უზუნ-ადას უბეში, რუსეთის იმპერიის ტრანსკასპიის რეგიონის კრასნოვოდსკის ოლქში. 1899 წლამდე პორტი ტრანსკასპიური რკინიგზის საწყისი წერტილი იყო.

⁴ თურქესტანი – ისტორიულ-გეოგრაფიული რეგიონი ცენტრალურ აზიაში. ეს ტერმინი გამოიყენებოდა XIX საუკუნიდან XX საუკუნის პირველი მეოთხედის ჩათვლით. აღმოსავლეთით მოიცავდა ჩინეთის, სამხრეთით ავღანეთისა და დასავლეთით რუსეთის იმპერიის ტერიტორიებს, 3 მლნ კმ²-ზე მეტს. 1867 წელს, შუა აზიის ნაწილის რუსეთის იმპერიასთან მიერთების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ დაარსდა „რუსული თურქესტანი“, რომლის ცენტრი ტაშკენტში იყო. მას გენერალ-გუბერნატორი მართავდა. 1886 წელს „რუსულ თურქესტანს“ „თურქესტანის რეგიონი“ ეწოდა. 1918-1929 წლებში ამ ტერიტორიაზე შეიქმნა თურქმენეთის სსრ, უზბეკეთის სსრ, ტაჯიკის სსრ და ყირგიზეთის სსრ. რეგიონის ჩრდილოეთი ნაწილი შევიდა ყაზახეთის სსრ-ის შემადგენლობაში. ამ პერიოდიდან თურქესტანის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი შუა აზია.

ჟიულ ვერნის შემოქმედების ცნობილი მკვლევრის, დანიელ კომპერის აზრით, აღნიშნული რომანი ფრანგი მწერლის 1872 წელს გამოქვეყნებული სათავგადასავლო რომანის, „80 დღე დედამიწის გარშემო“⁵, ერთგვარ პაროდიად შეიძლება ჩაითვალოს⁶.

ფრანგი ისტორიკოსის სილვი ობენასა და ფრანგი ხელოვნებათმცოდნის ენ ლაკოსტის ცნობით, ჟიულ ვერნის მიერ სათავგადასავლო რომანის – „კლოდიუს ბომბარნაკი. რეპორტიორის უბის წიგნაკი...“ დაწერა ფრანგი ფოტოგრაფის, პოლ ნადარის ფოტოებითა და მოთხრობებით იყო შთაგონებული. 1890-იანი წლების დასაწყისში ნადარმა სარკინიგზო ქსელის განვითარებით ისარგებლა და 1890 წელს მონაწილეობა მიიღო ტაშკენტის გამოფენაში, რომელიც რუსული არმიის მიერ ახალი ტრანსკასპიური სარკინიგზო ხაზის პოპულარიზაციის მიზნით იყო ორგანიზებული. ფრანგმა ფოტოგრაფმა სამი თვის განმავლობაში იმოგზაურა სამარყანდში, კავკასიასა და თურქესტანში; სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან 1800 სურათი წარმოადგინა – პეიზაჟები, ძეგლები, მოსახლეობის პორტრეტები და ადგილობრივი ცხოვრების სცენები, მათ შორის ამ რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელის, გენერალ ანენკოვის რამდენიმე პორტრეტი⁷.

ჟიულ ვერნის ეს სათავგადასავლო რომანი გახილულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ნატალია ორლოვსკაიას (1920-2014) „ნარკვევებში“⁸. ვიზიარებ მის აზრს იმის შესახებ, რომ კლოდიუს ბომბარნაკის სამარყანდში მოგზაურობის აღწერისას ჟიულ ვერნმა ნაპოლეონ ნეის ცნობებით ისარგებლა. არ გამოვრიცხავ, რომ ჟიულ ვერნმა ვიკონტ მარი-ეჟენ-მალქიორ დე ვოგუეს ინფორმაციითაც ისარგებლა, რომელიც 1888 წლის მაისში ნაპოლეონ ნეისთან, პოლკოვნიკ ნიოქსთან და მაიორ ბაიუსთან ერთად იყო მიწვეული ტრანსკასპიური რკინიგზის ინაუგურაციაზე. აღსანიშნავია, ამ რკინიგზის მშენებლობის ხელმძღვანელი, გენერალი მიხეილ ანენკოვი. ვიკონტის მეუღლის, იმპერატრიცა მარია ალექსანდროვნას ფრეილინას, ალექსანდრას, ძმა იყო.

დიდი ტრანსაზიის რკინიგზა ჟიულ ვერნმა გამოიგონა, რადგან რომანის დაწერის დროს რუსეთის იმპერკასპიის (ტრანსკასპიური) რკინიგზა სამარყანდამდე იყო მიყვანილი. XIX საუკუნის 70-იან წლებში მისი მშენებლობა შუა აზიაში რუსეთის იმპერიის საზღვრების გაფართოების გამო დაიწყო. 1886 წელს გენერალ ანენკოვის ხელმძღვანელობით რკინიგზის ხაზი აშხაბადამდე და

⁵ Jules Verne. *Le tour du monde en quatre-vingts jours*. Paris, Edité par Pierre-Jules Hetzel, 1872.

ამ სათავგადასავლო რომანში აღწერილია მდიდარი ინგლისელი ჯენტლმენის, ფილას ფოგის, მისი ფრანგი მსახურის – პასპარტუს, და მათი მეგობრების მოგზაურობა დედამიწის გარშემო 80 დღის განმავლობაში.

⁶ Daniel Compère. *Parodie et autoparodie dans l'oeuvre de Jules Verne*. Poétiques de la parodie et du pastiche de 1850 à nos jours. Bern: Peter Lang, 2006, 90.

<http://www.crp19.org/le-centre.1/membres-permanents/compere.html> (ნანახია: 29.12.2021).

⁷ Sylvie Aubenas, Anne Lacoste. *Les Nadar, Une légende photographique*, BNF, 2018.

https://www.bnf.fr/sites/default/files/2019-01/dp_nadar.pdf

⁸ Наталья Орловская. *Очерки по вопросам литературных связей*. Роман Жюль Верна, начинающийся в Грузии. Тбилиси, 2013, "Русский клуб", 4, 126-136. ამ მასალის მოწოდებისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს პატივცემულ კოლეგას, პროფესორ გრიგოლ ბერაძეს.

მერვამდე⁹ მივიდა, 1888 წელს კი ბუხარის გავლით სამარყანდს მიაღწია, 1898 წელს კი ტაშკენტამდე და ანდიჟანამდე¹⁰ გაგრძელდა. ეს გზა კასპიის ზღვის სანაპიროზე მდებარე უზუნ-ადას სადგურიდან კრასნოვოდსკის ნავსადგურამდე გაგრძელდა¹¹.

ფრანგ და ფრანკოფონ მოგზაურთა თხზულებებს შორის ჟიულ ვერნის სათავგადასავლო რომანის – „კლოდიუს ბომბარნაკი. რეპორტიორის უბის წიგნაკი...“, შეტანა იმ ფაქტმა განაპირობა, რომ ბომბარნაკის მოგზაურობა თბილისიდან იწყება. რა ინფორმაცია ჰქონდა მწერალს თბილისის შესახებ, რომელსაც იგი ფრანგი რეპორტიორის მემუოებით გადმოგვცემს? ამ რომანის პირველ თავში თბილისის შესახებ მოცემული ცნობების შესწავლა მოწმობს, რომ ავტორი გაეცნო კავკასიის მეფისნაცვლის, გენერალ ბარიატინსკის მმართველობის (1856-1862)¹² დროს საქართველოში 1856-1859 წლებში მოგზაური ფრანგი მხატვრის ფარამონ ბლანშარის, შვეიცარიელი ხელოვნებათმცოდნეს ფლორიან ჟილის, ალექსანდრე დიუმასა და მისი თანამგზავრის, ფრანგი მხატვრის ჟან-პიერ მუანეს თხზულებებს, რასაც შესაბამის ცნობებთან ვუთითებ.

ჟიულ ვერნის აღნიშნულ სათავგადასავლო რომანს ერთვის რამდენიმე ილუსტრაცია.

თავი I

კლოდიუს ბომბარნაკი მე-20 საუკუნის რეპორტიორი

თბილისი, ამიერკავკასია.

13 მაისს, თბილისში ჩასვლისთანავე დეპეშა მივიღე. აი მისი ტექსტი:

„კლოდიუს ბომბარნაკს ყველა საქმის მიტოვება და ამა წლის 15 რიცხვში კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარე უზუნ-ადას ნავსადგურში ყოფნა ევალება. იქ ჩაჯდება დიდ პირდაპირ ტრანსაზიურ მატარებელში, რომელიც ევროპის საზღვარს ციური იმპერიის დედაქალაქთან აკავშირებს. მას ევალება ნანახი შთაბეჭდილებების ქრონიკების სახით ჩაწერა, გზად შემხვედრი ყურადღების ღირსი პირებისგან ინტერვიუს აღება, მცირე ინციდენტების შესახებ წერილით ან დეპეშით შეტყობინება კარგი რეპორტაჟის მოთხოვნების შესაბამისად.

XX საუკუნე“ იმედს ამყარებს თავისი კორესპონდენტის გულმოდგინებაზე, გონიერებასა და მოხერხებულობაზე და მას შეუზღუდავი კრედიტით უზრუნველყოფს“.

⁹ მერვი – უძველესი ქალაქი შუა აზიაში, მდინარე მურდაბის ნაპირზე თურქმენეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. თანამედროვე ქალაქ მარიდან აღმოსავლეთით 30 კილომეტრზე.

¹⁰ ანდიჟანი – ქალაქი უზბეკეთში. ანდიჟანის ოლქის კულტურული, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ცენტრი. მდებარეობს ფერღანის ხეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ყირგიზეთის საზღვართან.

¹¹ Транскаспийская железная дорога - Trans-Caspian railway. https://ru.wikibrief.org/wiki/Trans-Caspian_railway (ნანახია: 04.06.2021).

¹² ალექსანდრე ბარიატინსკი (1815-1879) – თავადი, რუსი ფელდმარშალი (1859), 1835 წლიდან კავკასიის ომების აქტიური მონაწილე. 1856-1862 წლებში იყო კავკასიის მეფისნაცვალი და კავკასიის განსაკუთრებული კორპუსის მთავარსარდალი.

და აი, სწორედ იმ დილით ჩავედი თბილისში, იქ სამი კვირის გატარებას ვფიქრობდი, შემდეგ კი საქართველოს პროვინციების მონახულებას ვაპირებდი ჩემი გაზეთისა და, ვიმედოვნებდი, მისი მკითხველების სასარგებლოდ.

ასეთია მოგზაური რეპორტიორის ცხოვრების სიურპრიზები და უცნაურობები!

იმჟამად საქართველოში რუსეთის რკინიგზა ფოთი-თბილისი-ბაქოს ხაზთან იყო დაკავშირებული. სამხრეთ რუსეთის პროვინციებში ხანგრძლივი და საინტერესო მოგზაურობის შემდეგ კავკასია გადავკვეთე და ამიერკავკასიის დედაქალაქში დასვენების იმედი მქონდა. და აი, „XX საუკუნის“ ავტორიტარულმა ადმინისტრაციამ ამ ქალაქში მხოლოდ ნახევარი დღით გაჩერების საშუალება მომცა! ჩამოსვლისთანავე ისე მომიწევს გამგზავრება, რომ ჩემოდნის გახსნის დროც კი არ მექნება! რა გაეწყობა? ჩვენ რეპორტაჟის მოთხოვნებს, ინტერვიუების ყველაზე თანამედროვე საჭიროებებს უნდა ვაკმაყოფილებდეთ!

მე საგულდაგულოდ ვიყავი მომზადებული და ამიერკავკასიის რეგიონის გეოგრაფიული და ეთნოლოგიური დოკუმენტებიც საკმაოდ მქონდა მომარაგებული. მოგახსენებთ, რომ მთიელებისა და კაზაკების ჩაღმის მაგვარ ბეწვის ქუდს „ფაფახი“ ეწოდება, ხოლო წელში ნაოჭიან ქურთუკს, რომელსაც აქეთ-იქით სავაზნეები აქვს დამაგრებული, ზოგი „ჩერქეზკას“ უწოდებს, ზოგი – „ბემბეთს“! ამგვარად, შეიძლება იმის დადასტურება, რომ ქართველებსა და სომხებს შაქრის თავის მსგავსი ქუდი ახურავთ, რომ ვაჭრებს „ტულუპი“ – რაღაც ცხვრის ტყაპუჭის მსგავსი აცვიათ, რომ ქურთები ან სპარსელები კვლავ ატარებენ ხაოიანი ქსოვილის „ბურკას“, რომელიც დამუშავების წყალობით წყალგაუმტარია!¹³

რაც შეეხება ულამაზესი ქართველი ქალების თავის მორთულობას „თავსაკრავს“ (tassakravi), ის მსუბუქი ლენტის, თხელი ვუალის – მარმამისგან შედგება და ესოდენ ლამაზ სახეებს ჩარჩოდ ედება; მათი კაშკაშა ფერის კაბები ფართოა, სახელოები გაშლილია, ქვედაბოლო წელზეა შემოკრული; ზამთარში მათი ბრანდებურებიანი¹⁴ ზედა ხავერდის მოსაცმელი ბეწვითა და ოქრომკედითაა შემოქობილი; მათი თეთრი ბამბის ქსოვილის საზაფხულო მანტილია არის ჩარდი, რომელსაც იდაყვებით იჭერენ¹⁵. დაბოლოს, რეპორტიორის უბის წიგნაკში ასე გულდასმით ჩაწერილ მთელ ამ მოდაზე ახლა რისი თქმა შემეძლება?

ახლა გეცოდინებათ, რომ ეროვნული ორკესტრები შედგება „ზურნის“ – მკივანი ფლეიტის, „სალამურის“ – მყვირალა კლარნეტის, სპილენძის სიმებიანი მანდოლინის, რომელზეც ბუმბულით უკრავენ, „ჭიანურის“ – ვიოლინოს, რომელზეც ვერტიკალურად ხემს უსვამენ, „დიპლიპიტოს“ – ერთგვარი ციმბალისგან, რომელსაც ისეთი ტკაცანი გააქვს, როგორც სეტყვას ფანჯრის მინებზე!¹⁶

¹³ ჟიულ ვერნს ეს ცნობები მოხმობილი აქვს ფარამონ ბლანშარისა და ფლორიან გილის თხზულებებიდან (Pharamond Blanchard, „Voyage de Tiflis à Stavropol, par le défilé du Darial (1858)“. Le Tour Du Monde. Vol. 4, Paris, 1861, 114; Florian Gille, Lettres sur le Caucase et la Crimée, Paris, 1859, 274-275).

¹⁴ ბრანდებური (brandebougs) – ზონრით შემოკერილი სადილე მუნდირზე.

¹⁵ შდრ.: Blanchard, Voyage de Tiflis à Stavropol, 114-115; Gille, Lettres sur le Caucase..., 274-275.

¹⁶ შდრ.: Blanchard, Voyage de Tiflis à Stavropol, 115; Gille, Lettres sur le Caucase..., 274.

ამგვარად იგებთ, რომ „შაშკა“ ვერცხლის ძაფით მოქარგულ და ვერცხლის ინკრუსტაციებით მორთულ სამხარიდლიეზე ჩამოკიდებული ხმალია, „ხანჯალი“ არის ქორდიკი¹⁷, რომელიც ქამარზე ჰკიდიათ, ხოლო კავკასიელი მეომრის შეიარაღებას ასრულებს დამასკური ფოლადის გრძელღულიანი თოფი, ტარზე ლითონის ქედურობით!¹⁸

ამგვარად გავიგე, რომ „ტარანტასი“ ბერლენის¹⁹ სახეობაა, რომელიც საშუალო სიმაღლის ფართოდ დამორებული ბორბლებს შორის ხის საკმაოდ ელასტიკურ ხუთ ფიცარს ეყრდნობა, რომ ამ ეტლს მართავს წინა სავარძელზე მჯდომი „იამსჩიკი“²⁰, რომელსაც სამი ცხენის ლაგამი უჭირავს და რომელსაც ახლავს ფორეიტორი²¹, როდესაც „სმოტრიტელის“ – კავკასიის გზების ფოსტის უფროსისგან, მეოთხე ცხენის მიღებაა საჭირო!²²

ამგვარად, გეცოდინებათ, რომ ერთი ვერსი უდრის 1,67 კმ-ს, რომ ამიერკავკასიის მთავრობის მომთაბარე ხალხები შემდეგ ოჯახებად იყოფიან: ყალმუხები, ელეუთების²³ შთამომავლები – 15,000; მუსლიმი ყირგიზები – 8,000; ასტრახანელი თათრები – 11,000; სარტი²⁴ თათრები – 1,200; ნოღაელები – 8,500; თურქმენები – თითქმის 4,000!

ასე რომ, იმის შემდეგ, რაც საქართველოს შესახებ ცნობები ასე საგულდაგულოდ „დავიზეპირე“, მომდის განკარგულება, რომელიც ამ ქვეყნის მიტოვებას მაიძულებს! და მე არარატის მთის, იმ ადგილის მონახულების დროც კი არ მექნება, სადაც წარღვნის მეორმოცე დღეს გაჩერდა ეს პირველყოფილი კარჭაპი – სახელოვანი პატრიარქის, ნოეს, კიდობანი! მე კი ამიერკავკასიაში ჩემი მოგზაურობის შთაბეჭდილებების გამოქვეყნებაზე უარის თქმა და დაახლოებით ათასი სტრიქონის დაკარგვა მომიწევს, რისთვისაც ხელთ მქონდა ფრანგული აკადემიის მიერ ამჟამად აღიარებული ჩვენი ენის ოცდათორმეტი ათასი სიტყვა!

¹⁷ ქორდიკი – ცივი ორლესული იარაღი, ხანჯლის ნაირსახეობა, სხვადასხვა ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ოფიცერთა პირადი იარაღი, მათი მუნდირის კუთვნილება.

¹⁸ შდრ.: Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 117.

¹⁹ ბერლენი – ორ ან ოთხკარიანი დახურული სატრანსპორტო საშუალება, რომელსაც თავი არ ეხდება.

²⁰ იამსჩიკი (რუს. Ямщик) – მეეტლე, რუსეთში გადასახადის გადამხდელი მოსახლეობის განსაკუთრებული კლასთაშორისი ფენის წარმომადგენელი გლეხი ან ქალაქში მცხოვრები პირი, რომელიც დადგენილი წესით ინიშნებოდა სახელმწიფო მოვალეობების შესასრულებლად, მათ შორის ადამიანების ტრანსპორტირებისა და საფოსტო მომსახურების უზრუნველსაყოფად.

²¹ ფორეიტორი (გერმ. Vorreiter) – წინა ცხენზე მჯდომი მეეტლე.

²² შდრ.: Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 118.

²³ ყალმუხები (Kalmouks) – დასავლეთმონღოლური ერი, ოირატების ტომის, XVII საუკუნის დასასრულსა და XVIII საუკუნის დასაწყისში ცენტრალური აზიიდან ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კასპიისპირეთში გადასახლდნენ. ყალმუხებს და, ზოგადად, ოირატებს XVIII საუკუნის ბერძნულ ტექსტებში ზოგჯერ ელეუტებს (ბერძნული eleutheroi, სიტყვასიტყვით თავისუფალი) უწოდებენ.

<https://fr.wikipedia.org/wiki/Kalmouks> (ნანახია: 29.11.2023).

²⁴ სარტი – ცენტრალური აზიის ცალკეული რეგიონების ბინადარი მოსახლეობის ნაწილის სახელი XVII-XX საუკუნეებში. ვ. ბარტოლდის მიხედვით, სარტი (Сарты), უძველესი თურქული სიტყვა, ნიშნავს ვაჭარს.

<https://ru.wikipedia.org/wiki/%D0%A1%D0%B0%D1%80%D1%82%D1%8B> (ნანახია: 20.12.2023).

ეს რთულია, მაგრამ არ განიხილება.

უპირველეს ყოვლისა, რომელ საათზე გადის მატარებელი თბილისიდან კასპიის ზღვისკენ?

თბილისის სადგური სამი სარკინიგზო ხაზის კვანძია: დასავლეთი ხაზი მთავრდება შავ ზღვაზე ფოთის პორტში, სადაც ევროპიდან წამოსული მგზავრები ჩადიან; აღმოსავლეთის ხაზი ჩერდება ბაქოში, საიდანაც მგზავრებმა კასპიის ზღვა უნდა გადაკვეთონ; დაბოლოს, რუსების მიერ ახლახან გაყვანილი 164 კმ-ის სიგრძის ვლადიკავკაზი-თბილისის ხაზი, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიას ამიერკავკასიასთან აკავშირებს. ეს ხაზი 4,500 ფუტის [1371,6 მ] სიმაღლეზე კვეთს არხოტის ხეობას და საქართველოს დედაქალაქს სამხრეთ რუსეთის სარკინიგზო ლიანდაგთან აკავშირებს²⁵.

სადგურისკენ მივდივარ და მის მოსაცდელ დარბაზში შევდივარ.

„რომელ საათზე გადის ბაქოს მატარებელი? – ვეკითხები რკინიგზის მუშაკს.

ბაქოში მიემგზავრებით? – მიბრუნებს ის კითხვას და თავისი სარკმლიდან მოსკოვური უნიფორმის ქუდის წინაფრიდან უფრო სამხედრო, ვიდრე სამოქალაქო, მზერას მტყორცნის.

ვფიქრობ, არ არის ბაქოში გამგზავრება აკრძალული? – ვამბობ მე, შეიძლება საკმაოდ უკმეხად.

²⁵ კავკასიონის მთავარ ქედზე გამავალი საქართველოს სამხედრო გზის რეკონსტრუქციაში მონაწილე ინჟინერმა, ბოლესლავ სტატკოვსკიმ (1825-1898) 1870-იანი წლების პირველ ნახევარში დეტალური კვლევა ჩაატარა და რკინიგზის მარშრუტის ორი ვარიანტი წარადგინა: ვლადიკავკაზი-თბილისი (198 კმ) და დარგ-კოხი-გორი (195 კმ). 1875 წელს ექსპლუატაციაში შევიდა როსტოვი-ვლადიკავკაზის რკინიგზის ხაზი, რომლის გაგრძელება თბილისის მიმართულებით საკმაოდ ლოგიკური იყო. ამ მშენებლობის ამკარა ტექნიკური სირთულეების მიუხედავად, მის საჭიროებაში ეჭვი არავის შეჰპარვია, მაგრამ უსახსრობის გამო მუშაობა ვერ დაიწყო. რამდენიმე წლის შემდეგ პროექტი პრიორიტეტულ სიაში შეიტანეს, რომელიც 1887 წელს უნდა დაწყებულიყო. არჩევანი დარგ-კოხი-გორის მიმართულებაზე შეჩერდა, მაგრამ ამჯერადაც გეგმები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა («Одна из крупнейших проблем железнодорожного строительства на Кавказе – стальная магистраль из России в Грузию»).

<https://geworld.ge/ru/%D0%BE%D0%B4%D0%BD%D0%B0-%D0%B8%D0%B7-%D0%BA%D1%80%D1%83%D0%BF%D0%BD%D0%B5%D0%B9%D1%88%D0%B8%D1%85-%D0%BF%D1%80%D0%BE%D0%B1%D0%BB%D0%B5%D0%BC-%D0%B6%D0%B5%D0%BB%D0%B5%D0%B7%D0%BD%D0%BE%D0%B4/> (ნანახია: 3.09.2023).

საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოსული ევროპელი მოგზაურების მარშრუტში აღმოსავლეთით მდებარე არხოტის ხეობა არ შედიოდა. ამიტომ არ ვიცით, თუ რა ინფორმაცია ჰქონდა ჟიულ ვერნს ვლადიკავკაზი-თბილისის რკინიგზის არხოტის ხეობაზე გაყვანის შესახებ. ის კი სიმართლეა, რომ მან ეს მარშრუტი ოცნებად წლით აღწერა დასახა: 1914 წელს „კავკაზში“ დაიბეჭდა წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ თბილისი-არხოტი-ვლადიკავკაზის რკინიგზის ხაზის გაყვანა გვირაბის ადგილზე ქანების განლაგებისა და მდინარეების არაგვისა და ასას მიწისქვეშა ტალღეების* ფსკერზე მათი დინების პარალელურად 24 კერსის [25,5 კმ] მანძილზე, სამიშიც იყო და ძნელიც (*Кавказ. Типлис, №154, 1914, с. 2*).

*ტალღეები – სწორხაზოვანი ან დაკლავნილი ხაზი, რომელიც აერთებს მდინარის ყველაზე დადაბლებულ ნაწილებს — ხეობებს, ხევებს და სხვა. უფრო ფართო გაგებით ტალღეები ეწოდება ხეობის ძირს.

– არა, – მშრალად მპასუხობს ის, – იმ პირობით, რომ პასპორტი წესრიგში გაქვთ.

– წესრიგში მექნება, – ვპასუხობ ამ სასტიკ მოხელეს, რომელიც, როგორც წმინდა რუსეთის ყველა მცხოვრები, ჟანდარმი მგონია.

შემდეგ კვლავ ვკითხულობ, რომელ საათზე გადის ბაქოს მატარებელი.

– საღამოს 6 საათზე.

– და როდის ჩადის?

– მეორე დღეს, დილის შვიდ საათზე.

– უზუნ-ადასკენ მიმავალ გემზე ასვლას მოვასწრებ?

– მოასწრებთ“.

ჩემს დამშვიდობებაზე კაცი საღაროს ფანჯრიდან მექანიკურად მპასუხობს.

პასპორტის საკითხი არ მადარდება; საფრანგეთის კონსული შეძლებს რუსეთის ადმინისტრაციისთვის საჭირო საბუთების მოცემას. გამგზავრება საღამოს ექვს საათზეა, ახლა კი დილის ცხრა საათია!

რა გაეწყობა, თუ ზოგიერთი გზამკვლევის მიხედვით პარიზის დათვალიერება ორ, რომისა – სამ, ლონდონისა – ოთხ დღეში შეიძლება, თბილისის სანახავად ნახევარი დღე რომ არ მეყოს, საკმაოდ გასაოცარი იქნება. ველი მის ნახვას!

ეშმაკმა დალახვროს, განა რეპორტიორი არ ვარ!

ჩემმა გაზეთმა იმიტომ გამომგზავნა რუსეთში, რომ თავისუფლად ვსაუბრობ რუსულად, ინგლისურად და გერმანულად. რა თქმა უნდა, მსოფლიოს ხუთ კუთხეში ჟურნალისტიკაგან აზრის გამოსახატად რამდენიმე ათასი იდიომის ცოდნის მოთხოვნა ზედმეტი იქნებოდა. უფრო მეტიც, ზემოთ ჩამოთვლილი სამი ენით, ფრანგულთან ერთად, ორივე კონტინენტზე ადვილად იმოგზაურებ. მართალია, არის თურქული ენაც, რომლის მხოლოდ რამდენიმე გამოთქმა მახსოვს და ჩინური, რომლის არც ერთი სიტყვაც არ მესმის. მაგრამ თურქესტანსა და ჩინეთის იმპერიაშიც რაღაცას მოვახერხებ. გზაში თარჯიმნების ნაკლებობა არ იქნება და ვეცდები, რომ ამ დიდი ტრანსაზიური მოგზაურობის დროს არც ერთი დეტალი არ გამომრჩეს. მე ვიცი დანახვა და დავინახავ. ეს რატომ უნდა დავმალო? მე ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც ფიქრობს, რომ აქ ყოველივე ქრონიკის თემაა, რომ დედამიწა, მთვარე, ცა, სამყარო მხოლოდ საგაზეთო სტატიების მისაწოდებლად არის შექმნილი და ჩემი კალამი გზაში უქმად არ იქნება...

თბილისის დათვალიერებამდე პასპორტის საკითხს მოვაგვარებ. საბედნიეროდ, ადარ არის საჭირო იმ „პოდოროჟნიას“²⁶ მოპოვება, რომელიც ადრე აუცილებელი იყო ყველასთვის, ვინც რუსეთში მოგზაურობდა. იმ ხანებში ეს კურიერების, ფოსტის ცხენების დრო იყო და ეს ყოვლისშემძლე დოკუმენტი ყველა სირთულეს ლახავდა, უზრუნველყოფდა ცხენების სწრაფად გამოცვლას, მეეტლეების თავაზიან მოპყრობას, ტრანსპორტის ისეთ სისწრაფეს, რომ მოგზაური თბილისიდან პეტერბურგში 2,700 ვერსს [2862 კმ] რვა დღესა და ხუთ საათში ფარავდა²⁷. მაგრამ რაოდენ რთული იყო ამ პასპორტის მიღება!

დღეს საკმარისია გადაადგილების უბრალო ნებართვა, რომელიც გარკვეულწილად ადასტურებს, რომ არც მკვლელი ხარო და არც პოლიტიკური

²⁶ *პოდოროჟნია* (Подорожная) – ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც რუსეთში XV-XIX საუკუნეებში სარგებლობდნენ საფოსტო სადგურებში სახაზინო ცხენების მისაღებად.

²⁷ მდრ.: Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 119.

დამნაშავე, არამედ ის ხართ, ვინც ცივილიზებულ ქვეყანაში პატიოსან ადამიანად ითვლება. თბილისში ჩვენი კონსულის დახმარების წყალობით მალე მოსკოვის ადმინისტრაციის ყველა მოთხოვნას შევასრულებ.

ამ საქმეს ორი საათი და ორი მანეთი დასჭირდა. შემდეგ – მეგზურის გარეშე, რომლებიც არ მიყვარს – ჩემს თავს, თვალებს, ყურებსა და ფეხებს მთლიანად საქართველოს დედაქალაქის შესწავლას ვუძღვნი. ისე კი, ამ გულდასმით შესწავლილი დედაქალაქის ლაბირინთებში ნებისმიერი უცხოელის გაძღოლას თვითონაც შევძლებდი. ეს ნიჭი ბუნებამ მიბოძა.

ალაბლედზე მივდივარ და ჯერ „დუმას“ – მუნიციპალიტეტის შენობას მივადექი, რომელიც „გოლოვას“ («golova») ანუ მერის რეზიდენციაა. თუ ჩემთან ერთად გასეირნების პატივს დამდებთ, მე თქვენ მტკვრის მარცხენა ნაპირზე „წითელ მთასთან“ – ადგილობრივ ელისეს მინდვრებთან მიგიყვანთ, რომელიც კოპენჰაგენის ტივოლის²⁸ ან ბელვილის ბულვარის ბაზრობის მსგავსია თავისი შესანიშნავი საქანელებით – „კაჩელიებით“²⁹, რომელთა ოსტატურად კომბინირებული ვიბრაცია ზღვის ავადმყოფობას იწვევს. ყველგან, ბაზრობის ჭრელ ჯიხურებს შორის, სადღესასწაულოდ ჩაცმული ქალები დადიან დაუფარავი სახეებით – ისინი ქრისტიანები ე. ი. ქართველები ან სომხები არიან³⁰.

რაც შეეხება კაცებს, ისინი აპოლონ ბელვედერელები არიან, არც თუ მოკრძალებული სამოსითა და პრინცების იერით; საინტერესოა, ისინი მართლა ყველანი პრინცები არიან?³¹ და მართლაც, განა ისინი მათი მოდგმისანი არ არიან? მაგრამ გენეალოგიას მოგვიანებით შევხებით. სწრაფად განვაგრძოთ ჩვენი ვიზიტი. დაკარგული წუთი რეპორტაჟის ათი სტრიქონია, ხოლო მოხსენების ათი სტრიქონი კი... ეს გაზეთისა და მის ღირექტორთა საბჭოს გულუხვობაზეა დამოკიდებული.

დიდი ქარვასლისკენ მივიჩქარი. იქ მთელი აზიის კონტინენტიდან ჩამოსული ქარავნები ჩერდებიან. აი, ერთ-ერთი ჩამოსული, რომელიც სომეხი ვაჭრებისაგან, სხვა კი, რომელიც მიემგზავრება, სპარსეთიდან და რუსული თურქესტანიდან ჩამოსული ვაჭრებისგან შედგება. პირველთან ერთად ჩამოსვლას, მეორესთან ერთად კი წასვლას ვისურვებდი. ეს შეუძლებელია და ამის გამო გული მწყდება. ტრანსაზიური რკინიგზის გაყვანის დღიდან ჩვენ თითქმის არ გვხვდება მხედრების, ფეხით მოსიარულეთა, ცხენების, აქლემების, ვირებისა და ურმების ეს გაუთავებელი და თვალწარმტაცი მსვლელობები. არა

²⁸ ტივოლის ბაღები (Tivoli) – განთქმული გასართობი პარკი დანიაში, კოპენჰაგენში. ის 1843 წლის 15 აგვისტოს გაიხსნა და დღემდე ხელუხლებლად შემოიჩენილი უძველესი გასართობი პარკია მსოფლიოში.

²⁹ ფარამონ ბლანშარის შენიშვნა: „ეს არის ზეგანი, რომელიც მდებარეობს მაღალი ბორცვის თავზე მტკვრის მარცხენა ნაპირზე, თბილისის პირდაპირ. იქ არის თავმოყრილი ბაზრობის ყველა გასართობი, განსაკუთრებით რუსეთში პოპულარული გასართობის, საქანელების (katcheli) ყოველგვარი კომბინაცია. სახელწოდება კრასნაია გორა (Krasnaia-Gora – წითელი მთა) არ ნიშნავს მთის ფერს, წითელი რუსულად სილამაზის იდეის მატარებელია; ჩემი აზრით, ის უნდა ითარგმნოს როგორც ლამაზი მთა“ (Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 119).

³⁰ მღრ.: Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 114, 115, 120.

³¹ ჟიულ ვერნს ეს ცნობა ჟან-პიერ მუანეს თხზულებიდან აქვს მოხმობილი (Jean-Pierre Moynet. „Voyage à la mer Caspienne et à la mer Noir. II, De Bakou à Tiflis 1859“ (Inédit). Texte et dessins de M. Moynet. Le Tour du monde, I, 1860, 326).

მგონია, რომ ცენტრალურ აზიაში ჩემი მოგზაურობა ნაკლებად საინტერესო იყოს. „XX საუკუნის“ რეპორტიორმა იცის, თუ როგორ გახადოს ის საინტერესო.

აი, ბაზრები, სადაც სპარსეთიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან, ციმბირიდან და მონღოლეთიდან ჩამოტანილი უამრავი საქონელია. აქ თეირანის, შირაზის, ყანდაჰარის ან ქაბულის ქსოვილების დიდი სიუხვეა! აქ არის შესანიშნავად მოქსოვილი ფერადი ხალიჩები, აგრეთვე აბრეშუმი, რომელიც ვერც კი შეედრება ლიონისას.

შევიძენ რამეს? არა! კასპიის ზღვიდან ციური სამეფოსკენ მიმავალ გზაზე ფუთებით ვერ დავიჭვრითები. არავითარ შემთხვევაში! სავსებით საკმარისია ხელში პატარა ჩემოდანი და მხარზე გადაკიდებული ჩანთა სამგზავრო ტანსაცმლით. თეთრეული? ინგლისურ ყაიდაზე გზაში ვიყიდი.

ახლა თბილისის ცნობილი აბანოების წინ გავჩერდით, რომელთა თერმული წყლების ტამპერატურა ცელსიუსით სამოც გრადუსს აღწევს. იქ მასაჟის უახლეს მეთოდებს იყენებენ ხერხემლისთვის ელასტიკურობის მისანიჭებლად და კიდურების დასაჭიმად. მახსოვს, რა თქვა ამაზე ჩვენმა დიდმა დიუმამ, რომლის ხეტიალს მუდამ თან ახლდა თავგადასავლები. იგი, ამ სრულმასშტაბიანი რეპორტაჟის გენიალური წინამორბედი, მათ საჭიროების მიხედვით იგონებდა. მაგრამ მე მასაჟის, კიდურების დაჭიმვისა ან მათი მოქნილობისთვის დრო არ მაქვს.

აი, სასტუმრო „ფრანცია“! სად არ შეხვდები ამ დასახელების სასტუმროს? სასადილოდ შევდივარ, მე ქართულ სადილს მთავაზობენ კახური ღვინით, რომელიც, როგორც ამბობენ, არასოდეს ათრობს, თუ მას ისე ძლიერ არ ჩაისუნთქავენ, როგორც ამ ფართოყელიანი ბოთლებიდან სვამენ, რომლებსაც ტუჩებზე ადრე ცხვირი ეხება. ყოველ შემთხვევაში, ეს ამიერკავკასიის მკვიდრთა საყვარელი პროცესია. რაც შეეხება საზოგადოდ ფხიზელ რუსებს, მათთვის საკმარისია ჩაის დალევა, რა თქმა უნდა, „ვოდკის“ დამატებით, რაც არსებითად მოსკოვური არაყია (l'eau-de-vie).

როგორც ფრანგი და მით უმეტეს გასკონელი, მე ისეთივე სიამოვნებით ვსვამ ერთ ბოთლ კახურ ღვინოს, როგორ შატო ლაფიტს³² ვსვამდი იმ სევდიან დროს, როდესაც მზე ჯერ კიდევ ანათებდა პოიაკის³³ ფერდობებს. სინამდვილეში, გარკვეულწილად მომჟავო ეს კავკასიური ღვინო ძალიან უხდება მოხარშულ ქათამს, ასე ვთქვათ, „ფლავს“, რაც მას განსაკუთრებულ გემოს აძლევს.

სადილი დავასრულე და ახლა საქართველოს დედაქალაქში ამჟამად მცხოვრებ 60,000 ადამიანს შევერევი და ქალაქის ქუჩების ლაბირინთში, მის კოსმოპოლიტურ მოსახლეობაში ჩავიკარგები. აქ ბევრი ებრაელია, რომლებიც არიული რასების საპირისპიროდ ტანსაცმელს მარჯვნიდან მარცხნივ იკრავენ, ისე, როგორც წერენ. იქნებ ისრაელის შვილები ამ ქვეყანაში თავს ბატონებად არ

³² შატო ლაფიტ-როტშილდი (ფრანგ. Château Lafite-Rothschild) – ფრანგული ღვინის მუერნობა (შატო) პოიაკის appellation-ში*.

³³ კომუნა პოიაკი (Pauillac) მდებარეობს სამხრეთ-დასავლეთ საფრანგეთში, სენტ-ესტეფსა და სენტ-ჟიულიენს შორის მედოკის ნახევარკუნძულზე, ბორდოში.

*ფრანგული Appellation – დასახელება, არის ტექნიკური (სადვინე) ყურძნის მოსაყვანი ოფიციალურად აღიარებული ზონა, ჩამოყალიბებული ეკოსისტემითა და წარმოებული ღვინოებისთვის საჭირო მოთხოვნების ნაკრებით. გამოიყენება ღვინისა და ღვინის მასალების წარმოშობის გასაკონტროლებლად.

გრძნობენ, ისე, როგორც სხვაგან? ეს უდავოდ იმით აიხსნება, რომ, ადგილობრივი გამონათქვამის თანახმად, ერთი სომხის მოტყუებას ექვსი ებრაელი სჭირდება³⁴, ამიერკავკასიის პროვინციებში კი უამრავი სომეხია!

რიყეზე მივდი. იქ ასობით აქლემი წევს წინ წაწეული თავითა და წინ წაწეული შეკეცილი ფეხებით. ადრე ისინი აქ ათასობით იყვნენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც რამდენიმე წლის წინ ტრანსკასპიური რკინიგზა³⁵ გაიყვანეს, ამ კუზიანი გადამზიდავების რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. ეს სასაპალნე ცხოველები კი როგორ გაუწევენ კონკურენციას ბარგის გადასაზიდ ფურგონებს ან სატვირთო მატარებლის ვაგონებს!

დადმართს მდინარე მტკვრის სანაპირომდე ჩავუყევი, რომლის კალაპოტი ქალაქს ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს. ყოველ მხარეს ერთმანეთზე აკოკოლავებული სახლებია. აი ამას ხედავენ მეზობელი ქალები თავიანთი სახურავებიდან. მდინარის გასწვრივ სავაჭრო უბნებია. იქ გაბერილტიკებიანი ღვინისა და წყლის გამყიდველების დიდი მოძრაობაა; ამ უკანასკნელთ წყალი კამეჩის ტყავისგან დამზადებული ჭურჭლით დააქვთ, რომლებზეც სპილოს ხორთუმის მაგვარი მილაკებია მიმაგრებული³⁶.

და აი, თავგადასავლების ძიებაში დავხეტები. Errare humanum est³⁷, სიამოვნებით ამბობენ ჟირონდის³⁸ ნაპირებზე მოყიალე ბორღოელი მოსწავლე ვაჟები.

– „ბატონო, – მეუბნება პატარა კეთილი ებრაელი და ერთ საცხოვრებელზე მანიშნებს, რომელიც მე საკმაოდ ჩვეულებრივი მეჩვენა, – თქვენ უცხოელი ხართ?

– დიახ.

– „მაშ ერთი წუთით შეჩერდით ამ სახლთან, რომ მისი ცქერით აღფრთოვანდეთ“.

– და რა არის მასში აღსაფრთოვანებელი?

³⁴ ებრაელების, სომეხებისა და სპარსელების შესახებ თბილისში გავრცელებული გამონათქვამები რამდენიმე ფრანგი და ფრანკოფონი მოგზაურის თხზულებებშიც გვხვდება: „ქართველი გეტყვით: ერთი სომხის მოსატყუებლად საჭიროა შვიდი ებრაელი“ (Henri Cantel. *Le Prince Doment, scènes de la vie géorgienne*. „Revue des Deux Mondes“, T.40, 1862, 718); „თბილისში არის ანდაზა, რომ ერთი ებრაელის გასაცურებლად საჭიროა სამი ქრისტიანი, სამი ებრაელისა – ერთი სომეხი და სამი სომხისა – ერთი სპარსელი“ (Alfred Koechlin-Schwartz. *Un touriste au Caucase: Volga, Caspienne, Caucase*. Paris, J. Hetzel & Co Editeurs, 1881, 266); „ერთი სომხის გასაქურდად საჭიროა ორი ებრაელი, ერთი სპარსელის გასაქურდად – ორი სომეხი“ (Ernest. Orsolle. *Le Caucase et la Perse*. Plon, Nourrit et Cie, Paris, à 1885, 49); „ერთი სომეხი სამ ებრაელს უდრის“ (Jules Leclercq. *Du Caucase aux monts Alaï: Transcaspië-Boukharie – Ferganah*. Ouvrage accompagne d'une carte, Paris, E. Plon, 1890, 10); „ერთი ებრაელის მოტყუებას ორი ბერძენი სჭირდება, ერთი სომხისას – ექვსი ებრაელი“ (Carle Lefèvre-Pontalis. *De Tiflis à Persépolis: Ériwan, Tabriz, Téhéran, Ispahan*. Paris, Librairie, Plon, S.D. 1894, 9010).

³⁵ როგორც უკვე აღინიშნა, დიდი ტრანსაზიის რკინიგზა ჯიულ ვერნმა გამოიგონა.

³⁶ შდრ.: Moynet, *Voyage à la mer Caspienne*, 320.

³⁷ ჯიულ ვერნი იხმობს ციცერონის ლათინურ ანდაზას: „Errare humanum est, ignoscere divinum“ – „შეცდომა ადამიანურია, პატიება – ღვთაებრივი“.

³⁸ ჟირონდი (ფრანგ. Gironde) – მდინარეების გარონისა და ღორდონის შესართავი საფრანგეთში, იხსნება ბისკაის ყურეში.

– აქ ცხოვრობდა ის ცნობილი ტენორი სათარა, რომელიც ზედა ოქტავის ბგერა ფა-ს (contre-fa de poitrine) იღებდა³⁹. და რამდენს უხდიდნენ მას ამამში!”

ამ ღირსეულ პატრიარქს ზედა ოქტავის ბგერა სოლ-ის (un contre-sol) აღება და მასში უფრო მეტის მიღებას ვუსურვებ, მე კი ქალაქის პანორამის დასანახად მტკვრის მარჯვნივ მთაზე ავდივარ.

ბორცვის თავზე, პატარა მოედანზე მომღერალი პათოსით კითხულობს შესანიშნავი სპარსელი პოეტის, საადის⁴⁰ ლექსებს, მე კი ამიერკავკასიის დედაქალაქის ჭრეტიტ ვტკბები. რასაც აქ ვაკეთებ, ამას დაახლოებით ორი კვირის შემდეგ პეკინში გავიმეორებ. მაგრამ ციური იმპერიის პაგოდებისა⁴¹ და იამენების⁴² მოლოდინში, აი, რას სთავაზობს თბილისი ჩემს მზერას: ციხესიმაგრის კედლებს, სხვადასხვა აღმსარებლობის ეკლესიების სამრეკლოებს, არქიეპისკოპოსის ეკლესიას გუმბათზე ორმაგი ჯვრით⁴³, რუსულ, სპარსულ და სომხურ სახლებს; სახურავები ცოტაა, მაგრამ არის ტერასები; ორნამენტიტ შემკული ფასადი ცოტაა, მაგრამ სართულებს აქვთ ვერანდები და აივნები; შემდეგ ორი ძლიერ განსხვავებული უბანია: ქვედა ქართულ უბნად რჩება, ზედა, უფრო თანამედროვე უბანს, გრძელი ბულვარი კვეთს; მის გასწვრივ ლამაზი ხეებია დარგული, რომელთა შორის თავად ბარიატინსკის⁴⁴ სასახლეა აღმართული. აქ სრულიად უსწორმასწორო, თავისებური, მოულოდნელობით აღსავსე რელიეფია, უწყსრიგობის ისეთი სასწაულია, რომელსაც ჰორიზონტი თავისი დიდებული მთებით ესაზღვრება.

თითქმის ხუთი საათია. აღწერის ეფექტურ ფრაზებად ჩამოყალიბების დრო არ მაქვს. სადგურისკენ უნდა ვიჩქარო.

იქ უამრავი ხალხი შეკრებილა: სომხები, ქართველები, მეგრელები, თათრები, ქურთები, ებრაელები, რუსები კასპიის ზღვის სანაპიროებიდან; ოჰ,

³⁹ სათარა (1828-1891) – ძველ თბილისში სახელგანთქმული სახალხო მომღერალი, ნიკოლოზ ბარათაშვილის მეგობარი და ერთ-ერთი პირველი თბილისელი მომღერალი, რომელიც ახალგახსნილი „მანუქის თეატრის“ სცენაზე (1845) გამოვიდა. მან საკუთარი სოლო კონცერტები გამართა თბილისის თეატრში 1853 და 1860 წლებში. ცნობა სათარას შესახებ მოხმობილია ფარამონ ბლანშარის თხზულებიდან (Blanchard, *Voyage de Tiflis à Stavropol*, 116).

⁴⁰ საადი შირაზელი (1203-1292) – კლასიკური სპარსული ლიტერატურის ერთ-ერთი უდიდესი ფიგურა.

⁴¹ პაგოდა – განძეულის კოშკი, ბუდისტური საკულტო და მემორიალური ნაგებობა ჩინეთში, იაპონიაში, ინდოეთში და სხვ., წარმოადგენს კოშკს, ხშირად მრავალსართულიანს. ტექსტში „ინდურ პაგოდასთან“ პატარძლის მსგავსება მისი ზედმეტად ბევრი სამკაულისა და სამოსის ხაზგასასმელად არის მოხმობილი.

⁴² იამენი (yamens) – ადგილობრივი ბიუროკრატის ან მანდარინის ადმინისტრაციული ოფისი ან რეზიდენცია ჩინეთის იმპერიაში, კორეასა და ვიეტნამში.

⁴³ საპატრიარქო ჯვარი არის ჰერალდიკური ფიგურა, რომელსაც კიდევ ორი ან სამი სხივი აქვს. ხშირად გამოიყენება მართლმადიდებლური ეკლესიის სიმბოლოდ.

⁴⁴ ჟიულ ვერნის მიერ ბარიატინსკის სასახლის ხსენება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ იგი იცნობდა ფარამონ ბლანშარის, ფლორიან ჟილისა და ჟან-პიერ მუანეს თხზულებებს, რომლებიც საქართველოში მოგზაურობის დროს არაერთგზის იყვნენ მიწვეულები მის სასახლეში. აღნიშნული რომანის გამოსვლის დროს კავკასიის მთავარმართებელი სერგეი შერემეტევი (1890-1896) იყო.

აღმოსავლური კოლორიტი! – ერთნი ბილეთებს ბაქოში ჩასასვლელად, სხვები – შუალედურ სადგურებამდე იღებენ.

ამჯერად ყველაფერი წესრიგში მაქვს. ვერც ჟანდარმის სახიანი თანამშრომელი და ვერც თავად ჟანდარმები ვერ შეაფერხებენ ჩემს გამგზავრებას.

ბაქომდე პირველი კლასის ბილეთს ვიღებ. ბაქანზე გავდივარ და მატარებელში ვჯდები. ჩვეულებისამებრ, საკმაოდ მყუდრო კუბეს კუთხეში მოვკალათდი. ჩემ შემდეგ კიდევ რამდენიმე მგზავრი ამოდის, ხოლო კოსმოპოლიტური ხალხი მეორე და მესამე კლასის ვაგონებს ავსებს. კონდექტორის ჩამოვლის შემდეგ კუბეს კარი იკეტება. ბოლო სასტვენის გვაუწყებს, რომ მატარებელი საცაა დაიძვრება.

უეცრად სასოწარკვეთას სიბრაზეშერეული ყვირილი გაისმა და გერმანულად ეს სიტყვები გავიგე:

„შეჩერდით! შეჩერდით!“

ფანჯარა ჩამოვწიე და ვიყურები.



ერთი მსუქანი კაცი ხელში ჩემოდნით, თავზე ქუდი-ჩაფხუტით და უზარმაზარი მოსასხამის ნაკეცებში უხერხულად გახლართული ფეხებით, აქოშინებული მორბის. ის აგვიანებს.

რკინიგზის თანამშრომლებს მისი შეჩერება სურთ. მაგრამ აბა სცადეთ გამოსროლილი ბომბის შეჩერება. ძალას ამჯერადაც კანონი სჯობნის.

ტევტონური⁴⁵ ბომბი ძალიან კარგად გამოთვლილ მრუდს შემოწერს და ჩემ გვერდით მდებარე ვაგონში ვარდება კარიდან, რომელიც თავაზიანმა მგზავრმა არ დახურა.

მატარებელი დაიძრა, ლოკომოტივის ბორბლები ლიანდაგზე მისრიალებენ და სიჩქარეს იკრებს.

ჩვენ გავემგზავრეთ.



⁴⁵ ტევტონები – ძველი გერმანული ტომები. სიტყვა „ტევტონები“ ზოგჯერ ზოგადად გერმანელების აღსანიშნავად გამოიყენებოდა.

CLAUDIUS BOMBARNAC

CARNET D'UN REPORTER



I

Claudius Bombarnac reporter XX^e Siècle.

Tiflis


Transcaucasie.

Telle est la suscription de la dépêche que je trouvai le 13 mai, en arrivant à Tiflis.

Voici le texte de cette dépêche :

« Toute affaire cessante à la date du 15 courant Claudius Bom-

1



Je venais d'arriver à Tiflis. (Page 2.)

de la Caspienne au Céleste-Empire... jamais! La petite valise à la main, le sac en bandoulière avec un vêtement de voyage suffiront. Du linge?... Je m'en procurerai en route — à l'anglaise.

Arrêtons-nous devant les célèbres bains de Tiflis, dont les eaux thermales peuvent atteindre soixante degrés centigrades. Là se pratiquent les derniers perfectionnements du massage, l'assouplissement de l'échine, le craquage des membres. Je me rappelle ce qu'en a dit